ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა & ერთობლივი აკადემიური ხარისხი

გზამკვლევი

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი ლალი ბაქრაძე

თბილისი
2009

European Commission

TEMPUS

This project has been funded with support from the European Commission. This publication reflects the views only of the author, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

სარჩევი

წინასიტყვაობა....4
შესავალი 5
1. რა არის ერთობლივი აკადემიური ხარისხი / საგანმანათლებლო პროგრამა 6
2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საბაზო პრინციპები 7
3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები 9
4. ერთობლივი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა....11
    დანართი #1 19
    გამოყენებული ლიტერატურა 20

წინასიტყვაობა

ტემპუსის ეროვნული ოფისის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა.
უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტები, ტემპუსის ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყოფენ კონსულტაციებს როგორც ეროვნულ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე შემდეგ სფეროებში:

- (შიდა და გარე) ხარისხის უზრუნველყოფა
- უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა
    - კურიკულუმის განვითარება
    - კვალიფიკაციების ეროვნული და ევროპული ჩარჩოები (NQF/EQF)
    - თუნინგი
- აღიარება
    - ECTS
    - დიპლომის დანართი
    - აღიარების ლისაბონის კონვენცია

კონსულტაციებისა და საჯარო პრეზენტაციების გარდა, ექსპერტთა მუშაობის ერთ-ერთ ფორმატს წარმოადგენს რეკომენდაციების შემუშავება უმაღლესი განათლების რეფორმის კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

წინამდებარე გზამკვლევი პირველი მცდელობაა, თავი მოუყაროს ინფორმაციას ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური ხარისხების შესახებ.

Foreword

One of the specific objectives of National Tempus Office is support of Higher Education Reform in Georgia. Higher Education Reform Experts (HERE) provide counseling on institutional and national level on the following areas:

- Quality Assurance (internal and external)
- The Three Cycle System
    - curricular reform
    - National and European Qualification Frameworks (NQF/EQF)
    - Tuning
- Recognition
    - ECTS
    - Diploma Supplement
    - Lisbon Recognition Convention

Despite counseling and public presentations, one of the formats of HERE activities is development of guides on specific issues of HE reform.

The present guide is a first attempt to summarize information on Joint Academic Programmes and Degrees.

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევში მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს ან გეგმავენ ამ ტიპის პროგრამების განხორციელებას.

გზამკვლევში მოცემულია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც შეეხება ერთობლივი პროგრამის განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა განმარტებულია, თუ რა არის ერთობლივი პროგრამა/ხარისხი. ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება, ხარისხის უზრუნველყოფა და აღიარება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობლივი პროგრამის/ხარისხის არსის სწორ გაგებას, ვინაიდან მსოფლიოში ამ სახელით არსებითად ერთმანეთისაგან განსხვავებული პროგრამები გვხვდება. თუმცა, საქართველო, როგორც „ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების კონვენციის“ (შემდგომში ლისაბონის აღიარების კონვენცია) მონაწილე მხარე[1], ვალდებულია გაიზიაროს და შეასრულოს ამ კონვენციისა და მისი რეკომენდაციების მოთხოვნები. კერძოდ, „ერთობლივი აკადემიური ხარისხების აღიარების რეკომენდაციები“, რომელიც მიიღო „ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების კონვენციის“ კომიტეტემა 2004 წლის 9 ივნისს. აღნიშნულ ოფიციალურ რეკომენდაციებს საფუძვლად დაედო ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ 2002 წელს დაწყებული „ერთობლივი სამაგისტრო“ პროექტი.

გზამკვლევის მიზანია დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მის სტრუქტურულ ერთეულებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სწორად დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი პროგრამები, ხელი შეუწყონ ე. წ. „ევროპული განზომილების“ პრინციპის განხორციელებას, საერთაშორისო მობილობასა და განათლების ხარისხის ამაღლებას.

[1] კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს.

1. რა არის ერთობლივი აკადემიური ხარისხი / საგანმანათლებლო პროგრამა

ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოიყენება სხვადასხვა ტერმინები:

- Double Degree / programme (ორმაგი ხარისხი / პროგრამა). ამასთან, ორმაგი ხარისხი არ უნდა აგვერიოს ორ ძირითად სპეციალობაში (ე.წ. double major)
- Joint Degree / programme (ერთობლივი ხარისხი /პროგრამა)

ორმაგ და ერთობლივ ხარისხს შორის განსხვავება

Double Degree	Joint Degree
სტუდენტი სწავლობს ***ორი აკადემიური ხარისხისათვის*** ორი სხვადასხვა პროგრამით ერთსა და იმავე უსდ-ში (შედარებით იშვიათია), ან ორ სხვადასხვა უსდ-ში (მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის უსდ-ში)	სტუდენტი სწავლობს ***ერთი აკადემიური ხარისხისათვის***, ერთობლივად შემუშავებულ ერთ პროგრამაზე რამდენიმე პარტნიორ უსდ-ში
დაშვება ორივე პროგრამაზე ხორციელდება ცალ-ცალკე	დაშვების ერთიანი პირობა (ანუ დაშვება ხდება ერთი პარტნიორი უსდ-ს პირობებიდან გამომდინარე)

ერთობლივი პროგრამა/ხარისხი ევროპის რეგიონში

ევროპის რეგიონში ლისაბონის აღიარების კონვენციის რეკომენდაციებით განმარტებულია ერთობლივი აკადემიური ხარისხი:

ამ რეკომენდაციების მიზნებისათვის **ერთობლივი აკადემიური ხარისხი** არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც მინიჭებულია ერთობლივად ორი ან მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად შემუშავებული და/ან განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე.

ლისაბონის აღიარების კონვენციის რეკომენდაციების განმარტებებიდან გამომდინარე ერთობლივ ხარისხს უნდა ქონდეს ყველა ან რამდენიმე ქვემოთ მოყვანილი მახასიათებელი:

- პროგრამა შემუშავებულია და/ან დამტკიცებულია ერთობლივად რამდენიმე უსდ-ს მიერ;
- თითოეული მონაწილე უსდ-ს სტუდენტმა უნდა ისწავლოს პარტნიორ უსდ-ში (მაგრამ აუცილებელი არაა ყველა პარტნიორ უსდ-ში სწავლა);
- სტუდენტის მიერ პარტნიორ/მონაწილე უსდ-ში გატარებული სასწავლო პერიოდი უნდა შეადგენდეს პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს;
- პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი და ჩაბარებული გამოცდები აღიარებულ უნდა იქნეს სრულად და ავტომატურად;
- პარტნიორი უნივერსიტეტები ერთად შეიმუშავებენ კურიკულუმს და აყალიბებენ პროგრამაზე დაშვების პირობებს. დამატებით, ხელი უნდა შეეწყოს პარტნიორი უსდ-ს აკადემიურ პერსონალს ასწავლოს სხვა პარტნიორ უსდ-ში;

- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ან ეროვნული აკადემიური ხარისხი თითოეული მონაწილე უნივერსიტეტიდან, ან ხარისხი (ჩვეულებრივად არაოფიციალური „სერტიფიკატი“ ან დიპლომი“), გაცემული ერთობლივად მონაწილე მხარეების მიერ.

2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საბაზო პრინციპები

ერთობლივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება საკმაოდ რთულია და მოითხოვს დამატებით ძალისხმევას მისი განმახორციელებლების მხრიდან. ამდენად, სასარგებლოა, თუ ისინი კარგად გააცნობიერებენ შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- მოტივაცია

ზუსტად უნდა იცოდეთ, თუ რატომ აფუძნებთ პროგრამას. ახალი ერთობლივი პროგრამის შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციის სწორ განსაზღვრას.

- პარტნიორები

ერთობლივი პროგრამა არის კომპლექსური და პარტნიორების მიერ კოორდინირებული აქტივობა. თანამშრომლობა და კოორდინირება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ერთობლივი პროგრამის განხორციელებისათვის. კოოპერაციის ძირითადი პრინციპია *გამჭვირვალობა და ნდობა.* მხოლოდ ამ პრინციპების დაცვითაა შესაძლებელი ერთობლივი პროგრამების სტაბილურობა და ეფექტურობა.
ყურადღება მიაქციეთ ისეთ საკითხებს, თუ რამდენი უსდ-ს ჩართვაა საჭირო პროგრამის განხორციელებაში; რამდენად მსგავსები ან განსხვავებულები არიან ისინი.

- პასუხისმგებლობის გადანაწილება

ერთობლივი პროგრამის დაგეგმვა-განხორციელება მოითხოვს პარტნიორების ერთობლივ ინიციატივასა და ძალისხმევას. ამდენად, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული და გადანაწილებული პარტნიორებს შორის. ევროპაში შემუშავდა პასუხისმგელობის გადანაწილების დონეები:

1. პროგრამის კოორდინირებისა და პროგრამასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება: *ქსელის დონე* უზრუნველყოფს ჩარჩოს პროგრამისათვის.
2. შინაარსისა და პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით: პასუხისმგებლობა გადადის *დარგობრივ დონეზე,* იმ სფეროს წარმომადგენლებზე, რომლებმაც უნდა განახორციელონ ეს პროგრამა. ბევრად მეტი პრობლემაა, როდესაც პროგრამა ინტერდისციპლინურია.
3. პროგრამის მდგრადობა და ინსტიტუციური სიმყარე: ინდივიდუალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონე - *ინსტიტუციური დონე*

დონეების შესაბამისად უნდა გადაწყდეს, ვინ რა საკითხზეა პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილება თავიდან აიცილებს დუბლირებას და ხელს შეუწყობს ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

- კოორდინირება

ერთობლივი პროგრამებისათვის მართვის ეფექტური სტრუქტურისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმების იდენტიფიცირება არაა იოლი საკითხი. გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველა მონაწილე უნივერსიტეტის განსხვავებულ სამართლებრივ თუ კულტურულ კონტექსტს. კოორდინირება ქსელის ფარგლებში და თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტის შიგნით უნდა იყოს გამჭვირვალე და გასაგები თითოეული პარტნიორისათვის.

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთობლივად ჩამოყალიბება
ერთობლივი პროგრამის მიზნების განსაზღვრაში უნდა ჩაერთოს ყველა პარტნიორი. ერთობლივი პროგრამა წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტი იზიარებს არა მარტო პროგრამის მიზნებს, არამედ ასევე ჩართულია ერთიან სასწავლო პროცესში.

- პროგრამის დაფინანსების სტრატეგია
ასეთი სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ფინანსების მენეჯმენტზე არა მხოლოდ ინდივიდუალური უსდ-ს დონეზე, არამედ მთლიანად ქსელზე. ერთობლივი პროგრამების ფინანსების მენეჯმენტი არის ცენტრალური საკითხი პროგრამის შესრულებისათვის. პროგრამის ხარჯები უნდა შეფასდეს როგორც ინსტიტუციის, ასევე სტუდენტის თვალსაზრისიდან გამომდინარე. პარტნიორ უნივერსიტეტებს დიდი ალბათობით ექნებათ დაფინანსების სხვადასხვა ტრადიციები, პოლიტიკა და პრაქტიკა. ამდენად, დაფინანსების საკითხებში კოორდინირება ძალიან მნიშვნელოვანია.

- სწავლების ენის საკითხები
ერთობლივი პროგრამისათვის აუცილებელია სწავლების ენის განსაზღვრა. ევროპული ენების მრავალფეროვნების ხელშეწყობის სურვილის მიუხედავად, სხვადასხვა ენებზე ერთობლივი კურიკულუმის პრაქტიკული განხორციელებისა და ადმინისტრირების სირთულიდან გამომდინარე ევროპაში არსებულმა ერთობლივი პროგრამების ქსელებმა აირჩიეს ერთი ენა სწავლებისათვის. ზოგიერთი ქსელი კი ცდილობს დამატებითი კურსების განხორციელებას „ლოკალურ“ ენაზე.

ენის ცოდნა განიხილება, როგორც ერთობლივ პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ენების სწავლებას ხელი უნდა შეეწყოს მობილობის პერიოდამდე და მობილობის დროსაც.

- მობილობის განხორციელების პროცედურები
სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სისტემატური მობილობა წარმოადგენს ერთობლივი ხარისხის პროგრამის მნიშვნელოვან მახასიათებელს. შესაბამისად, ყველა ერთობლივ პროგრამას უნდა ქონდეს შემუშავებული მობილობის შესაბამისი პოლიტიკა. მობილობის პერიოდი ანუ „მობილობის ფანჯარა“ უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და ინტეგრირებული კურიკულუმში. მობილობის პერიოდის აღიარება უნდა მოხდეს ავტომატურად.

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სტუდენტების კონსულტირება
პარტნიორმა უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მსგავსი ინფორმაციის გავრცელება. პროგრამის აღწერა, მიღების წინაპირობები და პროცედურები, ცხოვრების პირობები პარტნიორ ქვეყნებში და ა.შ და რაც მთავარია, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციის/ხარისხის შესახებ.

3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები

პირველი ეტაპი: იდეის შესწავლა და კონცეფციის ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა:

- რა არის სიახლე და რატომაა ეს იდეა უნიკალური, რამდენად აუცილებელია ერთობლივი პროგრამის განხორციელება. შესაძლებელია თუ არა ამ პროგრამის განხორციელება პარტნიორების გარეშე და რა დამატებითი სარგებელი მოაქვს ამ ტიპის პროგრამას?
- ვინ ვართ „ჩვენ“ ე.ი. რომელი აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალი უნდა ჩავრთოთ ამ პროექტში?
- რომელი უნივერსიტეტი შეესაბამება ჩვენს პროგრამას?
- სტუდენტების რომელ ჯგუფებზე ვართ ორიენტირებული?

ერთობლივი პროგრამის ჩამოყალიბებამდე პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ საჭიროებების შესწავლა, რათა დარწმუნდნენ, რომ არსებობს გარკვეული ინტერესი სპეციფიკური კვალიფიკაციის მიმართ, როგორც სტუდენტების, ასევე შრომის ბაზრის მხრიდან. საჭიროებების შესწავლა იძლევა ინფორმაციას რაციონალური არჩევანისათვის პროგრამის შინაარსისა და პარტნიორების შერჩევასთან დაკავშირებით.

მეორე ეტაპი - კონცეფცია

იდეის ჩამოყალიბების შემდეგ სამუშაო ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს კონცეფცია, რომელიც მოიცავს ყველა საბაზო სტრუქტურულ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ ინფორმაციას ერთობლივ პროგრამასთან მიმართებაში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით. ეს წესი შესაძლებელია არ ითვალისწინებდეს ჩვეულებრივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურას. მაგალითად, არ საჭიროებდეს ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებას და შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის არსებული რგოლიდან ამოვარდნილია ფაკულტეტის ხარისხის სამსახური.

ამ ეტაპზე ყურადღება უნდა მიქცეს ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, პარტნიორ უნივერსიტეტებს შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული წესები და პროცედურები. აუცილებელია სიცხადის შეტანა ერთობლივი პროგრამის დამტკიცების პროცედურებსა და წესებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას - არსებობს თუ არა საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ პროგრამა სამართლებრივად აღიარებული იქნება სხადასხვა ქვეყანაში?

მესამე ეტაპი - ერთობლივი კურიკულუმის დაგეგმვა

ყველა პარტნიორთან შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე იწყება დეტალური დაგეგმვა. ამ ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს თითოეული პარტნიორი უსდ-ს ინდივიდუალური წვლილი. ერთობლივი პროგრამა ***აუცილებლად*** უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- **ერთობლივი პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება.** ყველა ქვეყანას გააჩნია გარკვეული რეგულაციები ან უკვე ჩამოყალიბებული პრინციპები

კვალიფიკაციების სახელწოდებებთან მიმართებაში. ცხადია, კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსს, მაგრამ ამავდროულად შესაბამისობაში უნდა იყოს ყველა პარტნიორი ქვეყნის რეგულაციებთან;

- **ერთობლივი პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი „სწავლის შედეგები“.** უნდა დადგინდეს სწავლის შედეგების შესაბამისობა კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოსთან და/ან აკადემიურ სტანდარტთან.
- **საფეხური:** ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. გარდა აღნიშნული კვალიფიკაციებისა, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს შუალედური კვალიფიკაციებიც, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო დონეზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მთელ რიგ სფეროებში შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული სამართლებრივი დაბრკოლებები ერთობლივი პროგრამების განხორციელებისათვის.
    - მაგალითად, საექთნო საქმის პროგრამა ევროპაში ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, მაშინ როდესაც საქართველოში ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამით.
- **მოდულები და ECTS-ის კრედიტები.** უნდა განისაზღვროს პროგრამის მიზნების შესაბამისი დისციპლინები და შედეგის მისაღწევად საჭირო სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კრედიტებში. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმ ფაქტს, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამები კრედიტების განსხვავებული რაოდენობით ხასიათდება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საბაკალავრო პროგრამა არანაკლებ 240, ხოლო სამაგისტრო პროგრამა კი არანაკლებ 120 კრედიტიანი უნდა იყოს.
- **სწავლების ფორმა.** მაგალითად, დასწრებული, ე.წ. ნაწილობრივი დატვირთვის, დისტანციური-განათლება და ა.შ. ყურადღება უნდა გამახვილდეს, რამდენად შესაძლებელია პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა ამა თუ იმ სწავლების ფორმით. ასევე მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, არსებობს თუ არა რაიმე ტიპის რეგულაციები სწავლების ფორმებთან მიმართებაში და განსაკუთრებით კი დისტანციური სწავლების შემთხვევაში.
- **ერთობლივი ხარისხის პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტები.** პარტნიორების მოტივაცია და მათი წილი საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული.
- **პროგრამაზე დაშვებისა და მიღების წინაპირობები.** ერთასა და იმავე ერთობლივ პროგრამაზე სტუდენტები სწავლას იწყებენ სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორ უნივერსიტეტებში. ამ სტუდენტების უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე დაშვება და მიღების წინაპირობები განისაზღვრება პარტნიორი უნივერსიტეტის ქვეყნის კანონმდებლობით. შესაძლებელია პარტნიორების მიერ დამატებით განისაზღვროს მიღების პირობა. ეს განსაკუთრებით შეეხება სწავლების ენის ცოდნის საკითხებს.
    - მაგალითად, საქართველოში სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ყველა, ვისაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ხოლო მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და უსდ-ს მიერ დამატებით დადგენილი გამოცდა/გამოცდები.
- **სწავლების ენა.** წარმატებული ერთობლივი პროგრამისათვის შესაბამისი ენის პოლიტიკის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწავლების სხვა ენის არჩევა, მოითხოვს არა მარტო შესაბამის აკადემიურ პერსონალს, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამაზე დაშვების ისეთ წინაპირობას, როგორიცაა სწავლების ენის სათანადო ცოდნა.
- **სტუდენტთა სავალდებულო მობილობა.** მნიშვნელოვანია მობილობის პერიოდების განსაზღვრა და კურიკულუმში ინტეგრირება. #1 დანართში მოცემულია სამი პარტნიორი უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა. ერთობლივი პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტმა სავალდებულოდ მინიმუმ ორ პარტნიორ უნივერსიტეტში

უნდა ისწავლოს. აქვე უნდა განისაზღვროს ინფორმაცია მობილობის დროს სტუდენტთა კონსულტირებისა და საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობის შესახებ.

- **აღიარების საკითხები.** საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდის აღიარების მექანიზმები, რომლებიც დაფუძნებულია ან თავსებადია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან. შესაძლებელია, რომ პარტნიორ უნივერსიტეტებში, როგორც შეფასების, ასევე საკრედიტო სისტემაც განსხვავებული იყოს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია წინასწარ დადგინდეს თავსებადობა აღნიშნულ სისტემებს შორის. სასურველია, რომ პარტნიორებმა გამოიყენონ ერთობლივად შემუშავებული ნიშნების ფურცელი, რათა ხელი შეეწყოს პარტნიორ უნივერსიტეტში გატარებული სასწავლო პერიოდის დროს მიღებული განათლების ავტომატურ აღიარებას.
- **დაფინანსება.** სწავლის საფასური; სტუდენტთა დაფინანსების სქემები; გრანტის გადატანის შესაძლებლობები და ა.შ.
- **ერთობლივი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.** წინასწარ უნდა განისაზღვროს ერთობლივი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. პარტნიორი ქვეყნების სამართლებრივი ბაზა შესაძლებელია არ იძლეოდეს პარტნიორების მიერ ერთობლივი დიპლომის გაცემის შესაძლებლობას (მაგალითად, საქართველოში არ არსებობს ასეთი ტიპის დოკუმენტი). ასეთ შემთხვევაში, როგორც ლისაბონის აღიარების კონვენციის რეკომენდაციებშია მითითებული, სტუდენტმა შეიძლება მიიღოს:
    - ერთი ეროვნული დიპლომი, რომელსაც თან დაერთვის არაოფიციალური სერთიფიკატი ყველა პარტნიორი უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით;
    - ერთი ან მეტი ეროვნული დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას.

რაც მთავარია, დიპლომის დანართში ზუსტად უნდა გაიწეროს, თუ პროგრამის რომელი ნაწილის შესწავლა მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტ(ებ)ში.

მეოთხე ეტაპი: შეთანხმება

პროგრამის კონცეფცია და დეტალები თანხმდება ყველა პარტნიორთან, როგორც წესი ფაკულტეტის დონეზე და ასევე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. სავალდებულოა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერონ მემორანდუმს ან ხელშეკრულებას და აიღონ ვალდებულება პროგრამის განხორციელებაზე.

4. ერთობლივი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა

ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პროცედურა ერთობლივი პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის მინიჭებისათვის. როგორც წესი, ერთობლივი პროგრამებიც ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილ პროცედურებსა და წესებს ექვემდებარებიან.

ერთობლივი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება, როგორც „დანიშნულებასთან შესაბამისობა - fitness for purpose“, ასევე „დანიშნულების შესაბამისობა - fitness of purpose“.

ერთობლივი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, რომ უნივერსიტეტებმა პასუხი გასცენ ქვემოთ მოცემულ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ამ ტიპის პროგრამების განხორციელების შემთხვევაში.

1. პროგრამის შემუშავება: მიზნები და სწავლის შედეგები

კრიტერიუმი

ერთობლივი პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები არის დეტალური, ადეკვატური და სანდო; ერთობლივი პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი სწავლის შედეგები გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორი უსდ–ების მიერ.

1.1. ერთობლივი პროგრამის მიზნები

- რა მიზნები უნდა დაისახოს ერთობლივმა პროგრამამ აკადემიური და დემოკრატიული ფასეულობების, საზოგადოებასთან რელევანტურობის (ეს განსაკუთრებით შეეხება დასაქმებადობას) და სტუდენტის პერსონალური განვითარების თვალსაზრისით?
- რა კომპეტენციები უნდა გამოიმუშაოს სტუდენტმა (ერთობლივი პროგრამის სწავლის შედეგები)? შეესაბამება თუ არა შედეგები დასახულ მიზნებს? შეესაბამება თუ არა კომპეტენციების დონე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის საფეხურს?
- პროგრამის მიზნები შეესაბამება თუ არა ერთობლივი ხარისხის მოთხოვნებს? როგორ განსაზღვრავენ მონაწილე უნივერსიტეტები „ერთობლიობის“ აუცილებლობასა და მის რეალიზაციას?
- როგორია პროგრამის ლინგვისტური მიზნები და ენის პოლიტიკა?

1.2. ინსტიტუციური მიზნები ინდივიდუალურ უსდ-თან მიმართებაში

- არის თუ არა ერთობლივი პროგრამა ინსტიტუციის მისიის შემადგენელი ნაწილი? რა კავშირია ერთობლივ და სხვა პროგრამებს შორის, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი და/ან უნივერსიტეტი?
- რა იყო მიზეზი/საფუძველი ერთობლივი პროგრამის შემოღებისათვის: აკადემიური, პროფესიული, ორგანიზაციული, ფინანსური ან სხვა?

1.3. ინსტიტუციური მიზნები პარტნიორ უსდ-თან მიმართებაში

- რა იყო პარტნიორი უსდ-ის შერჩევის ძირითადი მიზეზი: აკადემიური, პროფესიული, ორგანიზაციული, რეგიონული, ლინგვისტური, ფინანსური თუ სხვა? შერჩევის კრიტერიუმები შეესაბამებოდა თუ არა პროგრამის მიზნებს და ამოცანებს?

1.4. სხვა ამოცანები და სავარაუდო დაბრკოლებები

- როგორ უზრუნველყოფენ მონაწილე მხარეები ყველა სამართლებრივი ნორმის დაცვას? რითი უზრუნველყოფენ ერთობლივი აკადემიური ხარისხის აღიარებას?
- როგორ წყვეტენ უსდ-ები ერთობლივ ხარისხთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სამართლებრივ დაბრკოლებებს?

1.5. მიზნებისა და ამოცანების ვალიდურობა (საფუძველი 1.1 და 1.4 ამოცანებისათვის)

- როგორ ახორციელებენ მონაწილე მხარეები ერთობლივი პროგრამის მიზნების ვალიდაციას?
- განხორციელდა თუ არა საჭიროებების შესწავლა ან შრომის ბაზრის ანალიზი?
- ერთობლივი პროგრამების შემუშავებაში ჩართულინი არიან თუ არა პროფესიონალები? რა კავშირია პროფესიასა და შრომის ბაზარს შორის?

2. კონცეფცია

კრიტერიუმი

კურიკულუმით მიიღწევა დასახული მიზნები; ერთობლივი კურიკულუმი არის ლოგიკური და თანამიმდევრული; პროგრამის კონცეფცია შესრულებადია როგორც სტუდენტების, ასევე უსდ–თვისაც.

2.1.მიზნობრივი ჯგუფები და დაშვების პირობები

- სტუდენტების დაშვების პოლიტიკა ხელს უწყობს ამოცანების განხორციელებას? რა არის მიღების მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები? რა სპეციფიკური კომპეტენციები (მათ შორის ლინგვისტური) მოეთხოვება სტუდენტს? როგორ უზრუნველყოფს უსდ მრავალფეროვნებას? როგორ უზრუნველყოფს უსდ ფინანსური საჭიროებების მქონე სტუდენტების დაშვებას?
- რამდენი ადგილია დაგეგმილი ერთობლივი პროგრამისათვის/ თითოეულ უსდ-ზე/ თითოეულ წელს; პირველ წელს რა რაოდენობის სტუდენტს ელიან თითოეულ პარტნიორ უსდ-ში? როგორია განაცხადისა და მიღების თანაფარდობა?
- როგორია მოსალოდნელი და მიღწეული მობილობა?
- მიაღწია თუ არა პარტნიორმა უსდ-მა თავის მიზნებს?

2.2. პროგრამის სტრუქტურა

- პროგრამის შინაარსი შეესაბამება თუ არა მიზნებს? როგორია პროგრამის სტრუქტურა და სწავლების პრაქტიკა დროისა და შინაარსის თვალსაზრისით? აძლევს თუ არა პროგრამა თანაბარ შესაძლებლობებს?
- როგორ ხდება სასწავლო პერიოდის გატარება საზღვარგარეთ და როგორაა ეს სასწავლო პერიოდი სტრუქტურირებული?

2.3. სწავლის შედეგები, ECTS, მოდულარული სტრუქტურა

- როგორაა ერთობლივი პროგრამა სტრუქტურირებული, არის თუ არა მოდულარიზებული? რა არის პროგრამის მოსალოდნელი „სწავლის შედეგი“ (დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციები)?
- ითვალისწინებს თუ არა ერთობლივი პროგრამა ECTS -ის მოთხოვნებს სწავლის შედეგებისა და სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისას? როგორ იზომება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა?

2.4. შეფასება და საგამოცდო სისტემა

- როგორაა სტრუქტურირებული საგამოცდო სისტემა? საგამოცდო სისტემა კუმულატიურია თუ შედგება ყველაფრისმომცველი ბოლო გამოცდისაგან? შედეგების მიღწევის დამადასტურებელი რა საბუთები არსებობს?
- აძლევს თუ არა გამოცდა სტუდენტს საშუალებას, რომ მოახდინოს მისი მიღწევის დემონსტრირება?
- ნიშნების რა სისტემა გამოიყენება? როგორაა უზრუნველყოფილი პარტნიორი უსდ-ის ნიშნების სისტემების თავსებადობა?
- რა ხდება, თუ სტუდენტი ჩაიჭრა გამოცდაზე და ვალდებულია სასწავლებლად წავიდეს სხვა უსდ-ში? შეუძლია მას გადასვლა პარტნიორ უსდ-ში?

2.5. სწავლის კონტექსტი (მეთოდოლოგია, სასწავლო მასალები)

- სწავლების რა ფორმები და მეთოდები გამოიყენება სწავლის შედეგების მისაღწევად?
- რა არის სწავლების ძირითადი ენა?

2.6. გამჭვირვალობა

- **დიპლომი**: არის შესაძლებელი იმის მითითება, რომ ხარისხი არის „ ერთობლივი“?

- **დიპლომის დანართი**: გაიცემა დიპლომის დანართი? შეესაბამება იუნესკო-ევროსაბჭოს დადგენილ ფორმას? რომელ ენაზე ივსება?
- **ნიშნების ფურცელი**: გაიცემა ნიშნების ფურცელი? როგორაა სტრუქტურირებული? რომელი უსდ გასცემს საბოლოო და საერთო ნიშნების ფურცელს?
- **ECTS-ის კურსის კატალოგი**: არსებობს ECTS-ის კურსის კატალოგი? როგორაა სტრუქტურირებული?
- **შეფასების წესები**: არის თუ არა შეფასების კრიტერიუმები მკაფიო და ხელმისაწვდომი? არსებობს სპეციფიკური საგამოცდო წესები ერთობლივი პროგრამისათვის? ტარდება შეფასება თანამიმდევრულად ყველა პარტნიორის მიერ?
- **სტუდენტების ინფორმირება და კონსულტირება**: შესაბამისი ინფორმაციის მიღების რა შესაძლებლობები და მასალები არსებობს სტუდენტებისათვის? არსებობს თუ არა სტუდენტების ინდივიდუალური დახმარებისა და კონსულტირების შესაძლებლობა, რათა მათ მიიღონ მიზნობრივი ინფორმაცია?

3. პროგრამის განხორციელება: ინსტრუმენტები

კრიტერიუმი

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყველა დონეზე შეესაბამება ერთობლივი პროგრამის მიზნების მიღწევას; ყველა პარტნიორ უნივერსიტეტში ერთობლივი პროგრამისათვის არსებული რესურსები არის ხელმისაწვდომი და შესაბამისი

3.1. გადაწყვეტილების მიღების პროცესი

- კომუნიკაცია არის მკაფიოდ განსაზღვრული და შესაბამისი ქსელისა და უნივერსიტეტების დონეზე? როგორაა გადანაწილებული პასუხისმგებლობები ფაკულტეტის, უნივერსიტეტისა და ქსელის შიგნით და როგორია გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა? არსებობს წამყვანი უნივერსიტეტი?
- როგორ ხდება ქსელის დონეზე მიღებული გადაწყვეტილების ინტეგრირება პარტნიორი უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ინსტიტუციური მდგრადობა)?
- როგორაა ორგანიზებული ინსტიტუციათაშორისი ორგანოები? რა არის მათი მანდატი? რამდენად ხშირად და რეგულარულად ტარდება შეხვედრები? ვინ არიან ამ ორგანოების წევრები?
- ქსელისა და უნივერსიტეტის დონეზე მონაწილეობენ თუ არა სტუდენტები ერთობლივი პროგრამების ფორმირებაში (გადაწყვეტილების მიღების პროცესში)?

3.2. ორგანიზება

- არსებობს თუ არა პროფესიული და ინსტიტუციონალიზებული საკოორდინაციო ორგანო ქსელისა და უსდ-ის დონეზე?
- როგორაა ორგანიზებული კომუნიკაცია ქსელის შიგნით?
- რამდენად ხორციელდება სხვა ერთობლივი პროექტები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები პარტნიორ უსდ-თან?
- როგორაა უზრუნველყოფილი თანაბარი შესაძლებლობები (ბიბლიოთეკა, კომპიუტერები და ა.შ) ყველა სტუდენტისათვის?
- როგორაა ორგანიზებული სავალდებულო მობილობის ფაზა ერთობლივი პროგრამის ფარგლებში?

3.3. რესურსები (ფინანსები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ინფრასტრუქტურა, მობილობის გრანტები და ა.შ.)

- უზრუნველყოფილია თუ არა ერთობლივი პროგრამის დაფინანსება (ქსელის დონეზე, თითოეული პარტნიორი უსდ-ს დონეზე)? ხელმისაწვდომია თუ არა მიზნების მისაღწევად აუცილებელი რესურსები (ქსელის დონეზე, თითოეული პარტნიორი უსდ-ს დონეზე)?
- როგორაა გადაწყვეტილი დაფინანსების საკითხები? ცნობილია თუ არა დანახარჯები ერთ სტუდენტზე?

3.4. პერსონალი

- არის თუ არა საკმარის ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა პერსონალი თითოეულ უსდ-ში? რა ტიპისა და რამდენი თანამდებობაა პედაგოგიური პერსონალისათვის განსაზღვრული საერთოდ და კონკრეტულად ერთობლივი პროგრამისათვის? როგორია ლექტორი/სტუდენტის თანაფარდობა?
- შეესაბამება თუ არა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია პროგრამის პროფილსა და შინაარსს? რა კვალიფიკაციისაა აკადემიური პერსონალი? ხელმისაწვდომია კვალიფიკაციების პროფილი? აკადემიური პერსონალი მონაწილეობს თუ არა აქტიურად კვლევაში ან პროგრამის შესაბამის პროფესიულ საქმიანობაში? რა ტიპის საერთაშორისო გამოცდილება აქვს აკადემიურ პერსონალს?
- როგორია პოლიტიკა და პრაქტიკა პერსონალის მობილობისათვის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში?

- რა ტიპის რეგულაციები არსებობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ერთობლივი პროგრამების ხელშეწყობის მიზნით?
- უზრუნველყოფილია თუ არა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ლინგვისტური შესაძლებლობები ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის?

3.5. ფინანსური რესურსები, ფიზიკური რესურსები და ინფრასტრუქტურა

- რა აღჭურვილობა, სასწავლო და ფინანსური რესურსი არსებობს ერთობლივი პროგრამისათვის? არსებული ბიუჯეტი საკმარისია თუ არა პროგრამის განხორციელებისათვის?
- ერთობლივი პროგრამის/ხარისხის მობილობის გრანტი ხელმისაწვდომია თუ არა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის?
- რა ტიპის ხარჯები უნდა დაფარონ სტუდენტებმა (მაგ., სწავლის საფასური, ბინა და ა.შ)?
- ეხმარება უსდ სტუდენტს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფაში? რა გზით? არსებობს საცხოვრებლით მოკლევადიანი (3 თვიანი) უზრუნველყოფა?

3.6. ადმინისტრირება

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია როგორ უჭერს მხარს ერთობლივ პროგრამებს?
- როგორაა ორგანიზებული სტუდენტების ჩართულობა?
- როგორაა ორგანიზებული ნიშნების ფურცლის, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის საკითხები?
- როგორაა ორგანიზებული გასაჩივრების სისტემა? რომელ უსდ-ში შეუძლია სტუდენტს თავისი შეფასების შედეგების გასაჩივრება?

3.7. სტუდენტების მიღებისა და გადაადგილების ორგანიზება

- როგორაა ორგანიზებული სტუდენტების მიღება (ვინაა პასუხისმგებელი)? როგორია პროცედურა? განსაზღვრულია და დოკუმენტირებულია თუ არა მიღების წინაპირობები? არის თუა არა მიღების წინაპირობები ერთიანი და თანამიმდევრული ყველა პარტნიორ უსდ-ში?
- არსებობს თუ არა ე.წ. „გადამყვანი კლასები“ უცხოელი სტუდენტებისათვის ან სხვა აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებისათვის (მ.შ. უცხო ენის)?
- რა ზომით ეხმარება ფაკულტეტი/უნივერსიტეტი/ქსელი კურსდამთავრებულს შესაბამის დასაქმებაში? არსებობს კარიერის ცენტრები? ჩამოყალიბებულია კონტაქტები ყოფილ კურსდამთავრებულებთან (მაგ. შესაბამისი ასოციაციები)?

4. ხარისხის შეფასება

კრიტერიუმი

ერთობლივი პროგრამა ფასდება სისტემატურად ყველა დონეზე

- შემუშავებულია თუ არა ხარისხის პოლიტიკა ერთობლივი პროგრამისათვის? არსებობს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (სასწავლო მონაცემების ფიქსირება, უკუკავშირის მექანიზმები სასწავლო პროგრამის განვითარებისათვის, პერსონალის შერჩევა, სწავლების შეფასება, კავშირი შრომის ბაზართან)?
- არსებობს ერთობლივი პროგრამის წარმატების შეფასება (კურსდამთავრებულთა რაოდენობა, დასაქმება, შრომის ბაზარზე გასასვლელად საჭირო დრო, შემოსავალი, კარიერის ანალიზი)? ხორციელდება მონაცემების განახლება? ტარდება კვლევები სტუდენტებსა და პერსონალთან მიმართებაში?
- არსებობს მექანიზმები ერთობლივი პროგრამების სისტემური გაუმჯობესებისათვის?
- რა ზომები ხორციელდება სწავლის შეწყვეტის მაღალი მაჩვენებლის თავიდან ასაცილებლად და არადამაკმაყოფილებელი შეფასებების გამოსასწორებლად? ხორციელდება თუ არა პროგრამის შეფასება გარე ექსპერტების მიერ?
- რა არის სტუდენტის წვლილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში? როგორ უზრუნველყოფს უსდ უკუკავშირს სტუდენტებთან?

5. გაუმჯობესება და გაძლიერება: პროგრამის მდგრადობა

კრიტერიუმი

უსდ ადასტურებს მის შესაძლებლობებს ერთობლივი პროგრამის განხორციელებასთან მიმართებაში: უსდ–ს აქვს ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა

- რა ზომით იყენებს პროგრამა შიდა შეფასებების შედეგებს გაუმჯობესების მიზნებისათვის?
- არსებობს თუ არა აუცილებელი ცვლილებების პრიორიტეტული სია? რა ზომების მიღება ხდება, რომ გამოსწორდეს:
    - ერთობლივი პროგრამის შინაარსი
    - ერთიანობა ქსელის შიგნით
    - უსდ-ს მხარდაჭერა
    - და სხვა

- რომელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას აუცილებელ ცვლილებებთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო და ქსელის დონეზე?

დანართი #1

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ პოლიტიკა და მენეჯმენტი
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა



გამოყენებული ლიტერატურა

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 2004

2. RECOMMENDATION ON THE RECOGNITION OF JOINT DEGREES;
Adopted by the Committee of the Convention on the Recognition of Qualifications concerning Higher Education in the European Region on 9 June 200;
http://www.coe.int/t/dg4/highereducation/Recognition/LRC_en.asp

3. European Universities Association (EUA) by Christian Tauch and Andrejs Rauhvagers; Survey on Master's Degrees and Joint Degrees in Europe, Sept. 2002

4. Developing joint masters programmes for Europe. Results of the EUA Joint Master Project (March 2002- Jan 2004); www.eua.be